

## მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა

### მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 6 თვის ბიუჯეტის ბალანსი

ათასი ლარი

დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის 6 თვის გეგმა	2023 წლის 6 თვის საკასო შესრულება
<b>I. შემოსავლები</b>	<b>38,640.9</b>	<b>21,925.5</b>	<b>24,725.9</b>
გადასახადები	23,029.6	15,376.0	15,591.4
გრანტები	10,031.3	3,749.5	3,749.5
სხვა შემოსავლები	5,580.0	2,800.0	5,085.0
<b>II. ხარჯები</b>	<b>32,879.9</b>	<b>19,047.9</b>	<b>14,943.6</b>
შრომის ანაზღაურება	5,129.3	2,682.1	2,267.7
საქონელი და მომსახურება	10,532.2	5,758.1	3,666.3
პროცენტი	65.8	32.9	25.6
სუბსიდიები	14,189.8	8,797.6	7,773.3
გრანტები	42.0	22.0	22.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,468.8	768.6	653.9
სხვა ხარჯები	1,451.0	986.6	534.8
<b>III. საოპერაციო სალდო</b>	<b>5,761.0</b>	<b>2,877.6</b>	<b>9,782.3</b>
<b>IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>41,499.6</b>	<b>29,334.2</b>	<b>8,106.5</b>
ზრდა	42,099.6	29,934.2	11,823.4
კლება	600.0	600.0	3,716.9
<b>V. მთლიანი სალდო</b>	<b>-35,738.6</b>	<b>-26,456.6</b>	<b>1,675.8</b>
<b>VI. ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>-35,864.5</b>	<b>-26,519.4</b>	<b>1,613.0</b>
კლება	35,864.5	26,519.4	1,613.0
ვალუტა და დეპოზიტები	35,864.5	26,519.4	1,613.0
<b>VII. ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>-125.8</b>	<b>-62.9</b>	<b>-62.9</b>
კლება	125.8	62.9	62.9
საშინაო	125.8	62.9	62.9
სესხები	125.8	62.9	62.9
<b>VIII. ბალანსი</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>

**მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 6 თვის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

ათასი ლარი

დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის 6 თვის გეგმა	2023 წლის 6 თვის საკასო შესრულება
<b>შემოსულობები</b>	<b>39,240.9</b>	<b>22,525.5</b>	<b>28,442.8</b>
შემოსავლები	38,640.9	21,925.5	24,725.9
არაფინანსური აქტივების კლება	600.0	600.0	3,716.9
<b>გადასახდელები</b>	<b>75,105.3</b>	<b>49,044.9</b>	<b>26,829.9</b>
ხარჯები	32,879.9	19,047.9	14,943.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	42,099.6	29,934.2	11,823.4
ვალდებულებების კლება	125.8	62.9	62.9
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>-35,864.4</b>	<b>-26,519.4</b>	<b>1,613.0</b>

საანგარიშო პერიოდში თანხის დაგროვებამ შეადგინა 1,613.0 ათასი ლარი.

**მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 6 თვის ბიუჯეტის შემოსულობები**

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 6 თვის ბიუჯეტის ფაქტობრივმა შემოსულობებმა შეადგინა 28,442.8 ათ.ლარი, რაც საპროგნოზო მოცულობის 22,525.5 ათ.ლარის 126,3 % -ია. 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (24,378.1 ათ.ლარი) 4,064.7 ათ.ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

ათასი ლარი

დასახელება	2023 წლის ბიუჯეტი	6 თვის გეგმა	6 თვის ფაქტი	სხვაობა	შესრულების %
<b>შემოსულობები</b>	<b>39,240.9</b>	<b>22,525.5</b>	<b>28,442.8</b>	<b>5,917.3</b>	<b>126.3</b>
შემოსავლები	38,640.9	21,925.5	24,725.9	2,800.4	112.8
არაფინანსური აქტივების კლება	600.0	600.0	3,716.9	3,116.9	619.5

მიმდინარე წლის 6 თვეში მობილიზებული შემოსულობები წლიური გეგმური მაჩვენებლის (39,240.9 ათ.ლარი) 72,5 %-ია.

**1. შემოსავლები**

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 6 თვეში ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 21,925.5 ათ.ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა **24,725.9** ათ.ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 112.8%, ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობების 86,9 %.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებს და სხვა შემოსავლებს:

### 1. გადასახადები

2023 წლის 6 თვეში საგადასახადო შემოსავლების ფაქტობრივ შესრულებაზე მოდის 15,891,4 ათ.ლარი, რაც შესაბამისი საპროგნოზო მაჩვენებლის - 15,376.0 ათ.ლარის 103,4 %-ია. მთლიან შემოსულობებში საგადასახადო წილი შეადგენს 55.9 %-ს.

2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (13,191.6 ათ.ლარი) მიმდინარე პერიოდში 2,699.8 ათ.ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

**ქონების გადასახადი** - 2023 წლის 6 თვეში ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, ქონების გადასახადის ფაქტობრივი შესრულება შეადგენს 11,056.0 ათ.ლარს, კერძოდ, საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) - 10,748.3 ათ.ლარი, უცხოურ საწარმოთა ქონებაზე - 75,2 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) - 5.9 ათ.ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 45.3 ათ.ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 181.3 ათ.ლარი;

**დამატებული ღირებულების გადასახადი** - მიმდინარე პერიოდის გეგმური მაჩვენებელი შეადგენდა 5,000.0 ათ. ლარს, საკასო - 4,835.4 ათ.ლარს. შესრულდა 96.7 %-ით.

დასახელება	ათასი ლარი				
	2023 წლის გეგმა	2023 წლის 6 თვის გეგმა	2023 წლის 6 თვის საკასო შესრულება	სხვაობა	შესრულების %
<b>გადასახადები</b>	<b>23,029.6</b>	<b>15,376.0</b>	<b>15,891.4</b>	<b>515.4</b>	<b>103.4</b>
<b>ქონების გადასახადი</b>	<b>12,950.0</b>	<b>10,376.0</b>	<b>11,056.0</b>	<b>680.0</b>	<b>106.6</b>
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	10,150.0	10,150.0	10,748.3	598.3	105.9
უცხოურ საწარმოთა ქონება			75.2	75.2	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	220.0	5.0	5.9	0.9	118.3
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	320.0	40.0	45.3	5.3	113.3
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	2,260.0	181.0	181.3	0.3	100.2
<b>დღგ</b>	<b>10,079.6</b>	<b>5,000.0</b>	<b>4,835.4</b>	<b>-164.6</b>	<b>96.7</b>

## 2. გრანტები

2023 წლის 6 თვის განმავლობაში გრანტების სახით მიღებულ იქნა 3,749.5 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 100 %-ით.

ათასი ლარი

დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის 6 თვის გეგმა	2023 წლის 6 თვის საკასო შესრულება	შესრულების %
<b>გრანტები</b>	<b>10,031.3</b>	<b>3,749.5</b>	<b>3,749.5</b>	<b>100.0</b>
სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გრანტი	10,031.3	3,749.5	3,749.5	100.0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	980.4	549.2	549.2	100.0
მიზნობრივი , მ.შ.:	980.4	549.2	549.2	100.0
მიზნობრივი ტრანსფერი (საზოგადოებრივი ჯანდაცვა და თავდაცვა)	475.0	237.6	237.6	100.0
მიზნობრივი - საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა (საქართველოს მთავრობის განკარგულება N147 23.01.22წ.)	505.4	311.6	311.6	100.0
<b>ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი</b>	<b>8,680.0</b>	<b>3,200.3</b>	<b>3,200.3</b>	<b>100.0</b>
კაპიტალური ტრანსფერი (რფგ, საქართველოს მთავრობის განკარგულება N2475 29.12.22წ.)	4,664.0	2,830.3	2,830.3	100.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (საქართველოს მთავრობის განკარგულება N2476 29.12.22წ.)	846.0	100.0	100.0	100.0
კაპიტალური გრანტი (საქართველოს მთავრობის განკარგულება N545 17.03.23წ.)	270.0	270.0	270.0	100.0
სპეციალური ტრანსფერი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის (საქართველოს მთავრობის განკარგულება N592 27.03.23წ.)	2,900.0	0.0	0.0	0.0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი (საქართველოს მთავრობის განკარგულება N 301 09.02.2023წ.)	370.9	0.0	0.0	0.0

## 3. სხვა შემოსავლები

2023 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების 6 თვის საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 2,800.0 ათასი ლარით, ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 5,085.0 ათ.ლარი, ანუ გეგმის 181,6 %.

2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (4,598,8 ათ.ლარი) 486.2 ათ. ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

დასახელება	ათასი ლარი				
	2023 წლის გეგმა	2023 წლის 6 თვის გეგმა	2023 წლის 6 თვის საკასო შესრულება	სხვაობა	შესრულების %
სხვა შემოსავლები	5,580.0	2,800.0	5,085.0	2,285.0	181.6
შემოსავლები საკუთრებიდან	1,920.0	960.0	2,232.0	1,272.0	232.5
პროცენტი	1,000.0	500.0	1,692.1	1,192.1	338.4
რენტა	920.0	460.0	539.9	79.9	117.4
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის	800.0	400.0	439.7	39.7	109.9
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი და სხვა) გადაცემიდან	120.0	60.0	100.2	40.2	167.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1,420.0	710.0	732.2	22.2	103.1
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1,400.0	700.0	703.9	3.9	100.6
სანებართვო მოსაკრებელი	400.0	200.0	396.7	196.7	198.4
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების	0.0	0.0	2.0	2.0	0.0
დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების	1,000.0	500.0	305.2	-194.8	61.0
არასაბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევითი გაყიდვები	20.0	10.0	28.3	18.3	283.4
სანქციები , ჯარიმები და საურავები	2,240.0	1,130.0	1,872.8	742.8	165.7
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	0.0	0.0	248.0	248.0	0.0

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 2,232.0 ათ.ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის - 960.0 ათ.ლარის - 232.5 %-ია. მათ შორის:

პროცენტებიდან მობილიზებულია 1,692.1 ათ.ლარი, რაც 6 თვის გეგმის 500.0 ათ.ლარის 338,4 %-ს შეადგენს.

რენტის სახით მიღებულია 539.9 ათასი ლარი, რაც 6 თვის გეგმის 460,0 ათ. ლარის 117,4%-ს შეადგენს. აქედან, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებელზე

მოდის 439.7 ათ.ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე 100.2 ათ.ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 732.2 ათ.ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (710.0 ათ.ლარი) 103.1 %-ია. აქედან:

ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები - 703.9 ათ.ლარი, მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე - 396.7 ათ.ლარი; სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - 2.0 ათ.ლარი; დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი - 305.2 ათ.ლარი;

არასაბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევითი გაყიდვები - 28.3 ათ.ლარი.

სანქციები, ჯარიმები და საურავები - 1,872.8 ათ.ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1,130.0 ათ.ლარი) 166.0 %-ია.

ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული - 248.0 ათ.ლარი;

არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული შემოსულობა 2023 წლის 6 თვეში შეადგენს 3,716.9 ათ.ლარს, ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობების 13.1 %. მათ შორის, შენობა-ნაგებობების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა - 600.4 ათ.ლარი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა - 3,116.5 ათ.ლარი (არასასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვიდან - 1,616.2 ათ.ლარი და სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვიდან - 1,500.3 ათ.ლარი).

ათასი ლარი

დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის 6 თვის გეგმა	2023 წლის 6 თვის საკასო შესრულება	შესრულების %
არაფინანსური აქტივების კლება	600.0	600.0	3,716.9	619.5
ძირითადი აქტივები	0.0	0.0	600.4	-
შენობა-ნაგებობების გაყიდვა	0.0	0.0	600.4	-
არაწარმოებული აქტივები	600.0	600.0	3,116.5	519.4
მიწა	600.0	600.0	3,116.5	519.4

### ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულება:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 5,625.7 ათ.ლარი, რაც მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (26,767.0 ათ.ლარი) 21 %-ს შეადგენს.
- თავდაცვის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 142.8 ათ.ლარი, რაც მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (26,767.0 ათ.ლარი) 0.5 %-ს შეადგენს.
- ეკონომიკური საქმიანობის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 6,920.6 ათ.ლარი, მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (26,767.0 ათ.ლარი) 25.9 %.
- გარემოს დაცვის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 1,495.4 ათ.ლარი, მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (26,767.0 ათ.ლარი) 5,6 %.
- საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 4,287.7 ათ.ლარი, მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (26,767.0 ათ.ლარი) 16 %.
- ჯანმრთელობის დაცვის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 150.9 ათ.ლარი, მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (26,767.0 ათ.ლარი) 0,6 %.
- დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 2,488.2 ათ.ლარი, მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (26,767.0 ათ.ლარი) 9.3 %.
- განათლების სფეროში საკასო შესრულებამ კი - 4,685.5 ათ.ლარი, მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (26,767.0 ათ. ლარი) 17.5 %.
- სოციალური დაცვის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 970.4 ათ.ლარი, მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (26,767.0 ათ.ლარი) 3,6 %.

## 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

2023 წლის 6 თვეში ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:

ათასი ლარი						
დასახელება	გეგმა წლის	გეგმა პერიოდის	ხარჯი	სხვაობა	შესრულება პერიოდის(%)	%-ული წილი
მცხეთის მუნიციპალიტეტი						
გადასახდელების ჯამი	75,105.4	49,044.9	26,829.9	22,215.1	54.7	100.0

დასახელება	გეგმა წლის	გეგმა პერიოდის	ხარჯი	სხვაობა	შესრულება პერიოდის(%)	%-ული წილი
<b>ხარჯები</b>	<b>32,879.9</b>	<b>19,047.9</b>	<b>14,943.6</b>	<b>4,104.3</b>	<b>78.5</b>	<b>55.7</b>
შრომის ანაზღაურება	5,129.3	2,682.1	2,267.7	414.4	84.5	8.5
საქონელი და მომსახურება	10,533.2	5,758.1	3,666.3	2,091.7	63.7	13.7
პროცენტი	65.8	32.9	25.6	7.3	77.8	0.1
სუბსიდიები	14,189.8	8,797.6	7,773.3	1,024.3	88.4	29.0
გრანტები	42.0	22.0	22.0	0.0	100.0	0.1
სოციალური უზრუნველყოფა	1,468.8	768.6	653.9	114.7	85.1	2.4
სხვა ხარჯები	1,451.0	986.61	534.8	451.8	54.2	2.0
<b>არაფინანსური აქტივების ზრდა</b>	<b>42,099.6</b>	<b>29,934.2</b>	<b>11,823.4</b>	<b>18,110.7</b>	<b>39.5</b>	<b>44.1</b>
<b>ვალდებულებების კლება</b>	<b>125.8</b>	<b>62.9</b>	<b>62.9</b>	<b>0.0</b>	<b>99.9</b>	<b>0.2</b>

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 2,267.7 ათ.ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში 8.5 %-ია.

საქონელი და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 3,666.3 ათ.ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში 13.7 %-ია.

პროცენტის მუხლით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 25.6 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში 0.1 %-ია. ამ მუხლიდან თანხები მიმართულ იქნა საშინაო ვალდებულებების მომსახურებაზე.

სუბსიდიის სახით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 7,773.3 ათ.ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში 29.0 %-ია.

სუბსიდიის მუხლიდან ძირითადად დაფინანსდა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა - 3,739.8 ათ.ლარი;
- დასუფთავების ღონისძიებები - 1,088.0 ათ.ლარი;
- სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა - 775.0 ათ.ლარი;
- გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა - 121.9 ათ.ლარი;
- დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა - 17.3 ათ.ლარი;
- მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა - 37.2 ათ.ლარი;
- სპორტული ღონისძიებები - 835.6 ათ.ლარი;
- კულტურის ღონისძიებები 917.8 ათ.ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები - 150.9 ათ.ლარი;
- სოციალური დაცვა - 89.8 ათ.ლარი;



გრანტების სახით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 22.0 ათ.ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში 0,1 %-ია. ამ მუხლიდან დაფინანსდა სსიპ „ი.ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“-ს კომუნალური ხარჯები.

სოციალური უზრუნველყოფის სახით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 653.9 ათ.ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში 2,4 %-ია.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან ძირითადად დაფინანსდა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება 308,3 ათ.ლარი; პროგრამით საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 686 ბენეფიციარმა.
- აუტისტური სპექტრის და გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე არასრულწლოვანი პირების ფინანსური დახმარება - 96,9 ათ. ლარი; პროგრამით საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია 50 ბენეფიციარს.
- ერთჯერადი სოციალური დახმარებები 61.7 ათ.ლარი; პროგრამით საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 476 ბენეფიციარმა.
- დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება -23.8 ათ.ლარი (21 ბენეფიციარი);
- მესამე და მეტი შვილის შეძენის გამო ერთჯერადი ფინანსური დახმარება - 15,9 ათ. ლარი. საანგარიშო პერიოდში პროგრამით ისარგებლა 52 ბენეფიციარმა.
- ცელიაკით დაავადებული 5 ბენეფიციარის ფინანსური დახმარება - 5.0 ათ.ლარი;
- სკოლამდელი ასაკის ბავშვების ტრანსპორტით უზრუნველყოფა - 104.8 ათ. ლარი;
- ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება - 1.0 ათ.ლარი;
- 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით ერთჯერადი დახმარება მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისთვის - 1.0 ათ.ლარი, დახმარება გაიცა 2 ბენეფიციარზე.

სხვა ხარჯებზე გაიხარჯა 534.8 ათ.ლარი, მთლიანი ასიგნებების მოცულობის 2,0 % ; ამ მუხლიდან დაფინანსდა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები - 38.9 ათ.ლარი;
- მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ფულადი ჯილდო - 5.5 ათ.ლარი;
- ახალი წლის და აღდგომის დღესასწაულებთან დაკავშირებით სასურსათო კალათის შესყიდვა გაჭირვებული მოსახლეობისთვის და 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისთვის სასაჩუქრე ნაკრების (ტკბილეული) შეძენა - 313.0 ათ.ლარი;
- 8 მარტის დღესასწაულთან დაკავშირებით მრავალშვილიან დედებისთვის სასაჩუქრე ნაკრების (ტკბილეული) შეძენა - 21.3 ათ.ლარი;

- თავშესაფრის არმქონე პირების ბინის ქირით უზრუნველყოფა - 1.6 ათ.ლარი;
- წარჩინებული მოსწავლეების წახალისება, ფულადი ჯილდო - 18.5 ათ.ლარი;
- შშმ ბავშვების ტრანსპორტით უზრუნველყოფა - 131.5 ათ.ლარი;

არაფინანსური აქტივების ზრდაზე გაიხარჯა 11,823.4 ათ.ლარი, მთლიანი ასიგნებების მოცულობის 44.1% ;

ამ მუხლიდან ძირითადად დაფინანსდა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- სოფ. ძეგვში (ნაკურთხევის გზა) შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარით მოწყობა (დასრულდა) - 304,0 ათ.ლარი;
- სოფ. ქსოვრისში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - 46,9 ათ.ლარი;
- სოფ. ნაფეტვრების (ნაფეტვრები 2) შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა (რგფ) - 451,9 ათ.ლარი;
- სოფ. წოდორეთში შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა (რგფ) - 998,2 ათ.ლარი;
- სოფ. მამკოდას მიმდებარედ, ხოდაბუნების დასახლების მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (დასრულდა) - 81,7 ათ. ლარი;
- სოფ. კოტორაანთკარში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია - 85,2 ათ. ლარი;
- სოფ. ნიჩხისში შიდა საუბნო გზის ბეტონის საფარით მოწყობა - 88,9 ათ. ლარი;
- სოფ. მუხრანში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (ღვინის ქარხნის უბანი, წყაროს უბანი და ბაინდურაანთ უბანი) (რგფ) - 578,0 ათ. ლარი;
- სოფ. მუხრანში გზების რეაბილიტაცია (აბანოს უბანი, ინდუაანთ უბანი, მერებაანთ უბანი, გალაშკას უბანი, II მონაკვეთი) - 200,2 ათ. ლარი;
- სოფ. ციხისძირის შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა (დასრულდა) - 127,7 ათ. ლარი;
- სოფ. მისაქციელში შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა (I და II მონაკვეთი) - 422,7 ათ. ლარი;
- სოფ. მისაქციელში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (რგფ) - 208,4 ათ. ლარი;
- სოფ. ძალისში შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარით მოწყობა (ხეტიანთუბანი, I და II მონაკვეთი, რგფ) - 341,3 ათ. ლარი;
- სოფ. ძალისში (პავლიანთუბანი) შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია - 49,2 ათ. ლარი;
- სოფ. წინამძღვრიანთკარში შიდა საუბნო გზის ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობა (დასრულდა) - 423,0 ათ. ლარი;
- სოფ. გალაგანში შიდა საუბნო გზის ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობა - 103,5 ათ. ლარი;
- სოფ. მსხალდიდში შიდა საუბნო გზის ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობა - 116,3 ათ. ლარი;
- სოფ. საგურამოში და ზაქაროში შიდა საუბნო გზების ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა - 75,0 ათ. ლარი;

- **ქ. მცხეთაში** ტროტუარების, ბორდიურების და გამწვანების მოწყობა (ბებრის ციხიდან ნარეკვაამდე) - 123,5 ათ. ლარი (დასრულდა);
- **ქ. მცხეთაში**, ბაგინეთის მთაზე მონასტრის ტერიტორიის დაცვა ქვათაცვენისგან - 17,7 ათ. ლარი (დასრულდა);
- **ქ. მცხეთაში** ტროტუარების, ბორდიურების და გამწვანების მოწყობა (ფანტანიდან ბაზრის ჩასახვევამდე) - 192,5 ათ. ლარი;
- **ქ. მცხეთაში** ტროტუარების, ბორდიურების და გამწვანების მოწყობა (ფოსტიდან სვეტიცხოვლის შესასვლელამდე, გამსახურდიას ქუჩის დასაწყისი) - 176,2 ათ. ლარი;
- **ქ. მცხეთაში** ტროტუარების, ბორდიურების და გამწვანების მოწყობა (ფოსტიდან არსენას ძეგლის ხიდამდე) (რგფ)- 125,2 ათ. ლარი;
- **ქ. მცხეთაში**, აღმაშენებლის ქუჩაზე (არსენას ძეგლიდან მტკვარზე არსებულ ხიდამდე) ტროტუარებისა და ბორდიურების რეაბილიტაციის სამუშაოები (**რგფ**) - 402,0 ათ. ლარი;
- **ქ. მცხეთაში**, კოსტავას ქუჩაზე ტროტუარების, ბორდიურების, გამწვანების და საყრდენი კედლების რეაბილიტაცია -108,9 ათ. ლარი;
- **სოფ. ბიწმენდში** სასმელი წყლის ჭაბურღილის და მაგისტრალური მილსადენების მოწყობა (რგფ), (დასრულდა) -33,5 ათ. ლარი;
- **სოფ. ნიჩბისში** სასმელი წყლის ჭაბურღილის და მაგისტრალური მილსადენების მოწყობა - 50,3 ათ. ლარი;
- **სოფ. ძალისში** სასმელი წყლის ჭაბურღილის და მაგისტრალური მილსადენების მოწყობა (**რგფ**), (დასრულდა) - 68,0 ათ. ლარი;
- **სოფ. ძალისში** სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია - 35,7 ათ. ლარი;
- **ქ. მცხეთაში** შადრევნის რეაბილიტაცია (კაფე გვირილასთან) - 23,3 ათ. ლარი;
- **სოფ. ქსანში** ისტორიულ ციხეზე მინათებების მოწყობა (დასრულდა) - 172,3 ათ. ლარი;
- **ქ. მცხეთა**, ნარეკვავის დასახლებაში სააკაძის ქუჩის ბოლოში არსებული სკვერის მოწყობა - 21,8 ათ. ლარი;
- **სოფ. წინამძღვრიანთკარში** სკვერის მოწყობა (დასრულდა) - 221,1 ათ.ლარი;
- **სოფ. ქსანში** სკვერის (ს/კ72.10.08.127) მოწყობა (დასრულდა) - 402,4 ათ.ლარი.
- **სოფ. ძალისში** სკვერის მოწყობა - 153,8 ათ. ლარი;
- **ქ. მცხეთაში**, ღართიკარის დასახლებაში არსებული სარეკრეაციო დასასვენებელი ზონების (სამხედროს ქ. N12-ში არსებული სკვერის) რეაბილიტაცია -25,3 ათ.ლარი;
- **ქ. მცხეთაში**, ღართიკარის დასახლებაში არსებული სარეკრეაციო დასასვენებელი ზონების (სამხედროს ქ. N12 ა-ში არსებული სკვერის) რეაბილიტაცია - 16,1 ათ. ლარი;
- **სოფ. ციხისძირში** არსებული სკვერის (ს/კ72.10.03.337) რეაბილიტაცია (დასრულდა) - 267,6 ათ. ლარი;
- **სოფ. ციხისძირში** არსებული სკვერის (N8 კორპუსის მიმდებარედ) რეაბილიტაცია (დასრულდა) - 108,7 ათ. ლარი;
- **სოფ. წეროვანში**, იგპ დასახლებაში, სკვერისა და ტრენაჟორების მოწყობა (დასრულდა) - 193,5 ათ. ლარი;
- **სოფ. წილკანში**, იგპ დასახლებაში, მინი სპორტული მოედნისა და სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები(დასრულდა) -147,2 ათ. ლარი;
- **ქ. მცხეთაში**, შოთა რუსთაველის ქუჩაზე, სათამაშო მოედნის მოწყობა - 97,2 ათ. ლარი;

- **სოფლის პროგრამის** მხარდაჭერის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოები - 23,2 ათ. ლარი;
- მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის** ღირებულება - 214,2 ათ. ლარი;
- ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური **ზედამხედველობის მომსახურების** ღირებულება - 253,4 ათ. ლარი;
- **ქ. მცხეთაში** ტერიტორიების გასამწვანებლად მრავალწლიანი ხის ნერგების შესყიდვა და მოვლა-პატრონობა - 73,5 ათ. ლარი;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ობიექტებზე სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობა (2022წ) – 124,9 ათ. ლარი;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გათბობა-ვენტილაციის მოწყობა - 457,1 ათ. ლარი;
- მუნიციპალიტეტში მშენებარე ბაღების კომუნიკაციის ქსელზე დაერთება - 33,6 ათ. ლარი;
- **სოფ. წეროვანში** არსებული შენობის სპორტულ დარბაზად გადაკეთების და რეაბილიტაციის სამუშაოები - 71,1 ათ. ლარი;
- **ქ. მცხეთაში**, თეატრონის მიმდებარედ საკალათბურთო ღია მოედნის მოწყობა - 92,6 ათ. ლარი;
- **ქ. მცხეთაში**, ნარეკვავის დასახლებაში, მინი სპორტული მოედნის მოწყობა - 27,0 ათ. ლარი;
- **სოფ. ძეგვში** მინი სპორტული მოედნის მოწყობა - 172,6 ათ. ლარი;
- **სოფ. მუხრანში** მინი სპორტული მოედნის მოწყობა (დასრულდა) - 137,7 ათ. ლარი;
- **სოფ. მუხრანში (პატარა ქანდა)** მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობა - 148,6 ათ. ლარი;
- 41 ერთეული კომპიუტერის შესყიდვა- 68,6 ათ. ლარი;
- 40 ერთეული პრინტერის შესყიდვა- 42,0 ათ. ლარი;
- 2 ერთეული დიზელ-გენერატორის შესყიდვა - 36,9 ათ. ლარი;
- 2 ერთეული მესამე კლასის მსუბუქი ა/მანქანის შესყიდვა- 68,3 ათ. ლარი;
- 10 ერთეული ავტობუსის სახელშეკრულებო ღირებულების საავანსო ანგარიშსწორება (40%) - 1 374,0 ათ. ლარი;

**ვალდებულებების დაფარვა** - სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და მცხეთის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში, 2017 წელს ფონდმა სესხის სახით განახორციელა მუნიციპალიტეტისათვის კომპაქტორიანი თვითმცლელი ნაგავმზიდი მანქანის (5 ერთეული) და ნარჩენების კონტეინერების (200 ერთეული) გადაცემა. საანგარიშო პერიოდში ვალდებულების დაფარვისათვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა - 62,9 ათასი ლარი. მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში 0,2 %-ია.

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ ჭრილში

პროგრამულ ჭრილში მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 6 თვის ბიუჯეტის ხარჯებს აქვს შემდეგი სახე:

ორგანიზაციის კოდი	დასახელება	ათასი ლარი					
		გეგმა წლის	გეგმა პერიოდის	ხარჯი პერიოდის	სხვაობა	შესრულება პერიოდის(%)	შესრულება წლის (%)
	მცხეთის მუნიციპალიტეტი						
	ჯამური	75,105.4	49,044.9	26,829.9	22,215.1	54.7	35.7
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები						
	ჯამური	11,775.6	7,190.4	5,831.3	1,359.1	81.1	49.5
01 01	საკონონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა						
	ჯამური	11,269.0	6,929.6	5,742.8	1,186.8	82.9	509.6
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო						
	ჯამური	1,232.9	645.6	586.8	58.9	90.9	47.6
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია						
	ჯამური	9,695.1	6,101.0	4,998.6	1,102.4	81.9	51.6
01 01 03	სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური						
	ჯამური	294.4	159.7	142.8	17.0	89.4	48.5
01 01 04	საჯარო მოხელეთა პროფესიული სწავლება						
	ჯამური	46.6	23.3	14.7	8.6	63.2	31.6
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები						
	ჯამური	506.6	260.8	88.4	172.4	33.9	17.5
01 02 01	სარეზერვო ფონდი						
	ჯამური	300.0	150.0	0.0	150.0	0.0	0.0
01 02 03	წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა (მგფ-ს სესხი)						

ორგანიზაციის კოდი	დასახელება	გეგმა წლის	გეგმა პერიოდის	ხარჯი პერიოდის	სხვაობა	შესრულება პერიოდის(%)	შესრულება წლის (%)
	ჯამური	191.6	95.8	88.4	7.4	92.3	46.2
01 02 05	მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა						
	ჯამური	15.0	15.0	0.0	15.0	0.0	0.0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება						
	ჯამური	42,722.0	29,376.6	11,208.3	18,168.3	38.2	26.2
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება						
	ჯამური	22,155.1	19,118.7	6,432.6	12,686.2	33.6	29.0
02 01 01	გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება						
	ჯამური	800.0	500.0	143.4	356.6	28.7	17.9
02 01 02	გზების კაპიტალური შეკეთება						
	ჯამური	13,632.2	11,929.1	4,702.1	7,227.0	39.4	34.5
02 01 03	გზების კეთილმოწყობა						
	ჯამური	7,722.9	6,689.6	1,587.0	5,102.6	23.7	20.5
02 02	წყლის სისტემების განვითარება						
	ჯამური	4,060.8	2,370.1	1,027.1	1,343.0	43.3	25.3
02 02 01	სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა						
	ჯამური	1,160.0	892.3	775.0	117.3	86.9	66.8
02 02 02	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია						
	ჯამური	2,692.8	1,418.8	210.7	1,208.0	14.9	7.8
02 02 03	საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია						
	ჯამური	208.0	59.0	41.3	17.7	70.0	19.9
02 03	გარე განათება						
	ჯამური	1,965.5	1,135.5	863.7	271.8	76.1	43.9
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია						
	ჯამური	1,780.0	950.0	691.4	258.6	72.8	38.8
02 03 01 01	გარე განათების ქსელის მოხმარებული						

ორგანიზაციის კოდი	დასახელება	გეგმა წლის	გეგმა პერიოდის	ხარჯი პერიოდის	სხვაობა	შესრულება პერიოდის(%)	შესრულება წლის (%)
	ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურება						
	ჯამური	1,420.0	770.0	569.5	200.5	74.0	40.1
02 03 01 02	გარე განთების ქსელის მოვლა-პატრონობა						
	ჯამური	360.0	180.0	121.9	58.1	67.7	33.9
02 03 02	გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია						
	ჯამური	185.5	185.5	172.3	13.2	92.9	92.9
02 04	მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია						
	ჯამური	1,731.8	262.3	2,6	2,339.7	992.0	150.3
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები						
	ჯამური	4,320.1	3,245.1	2,056.7	1,188.4	63.4	47.6
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (სკვერები და მოსაცდელელები)						
	ჯამური	2,728.6	2,493.6	1,760.0	733.5	70.6	64.5
02 06 02	დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა						
	ჯამური	80.0	40.0	18.8	21.2	46.9	23.5
02 06 03	სადღესასწაულო ღონისძიებები						
	ჯამური	1,511.5	711.5	277.9	433.6	39.1	18.4
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა						
	ჯამური	2,749.0	737.3	23.2	714.1	3.1	0.8
02 08	სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია						
	ჯამური	141.3	141.3	124.0	17.3	87.8	87.8
02 09	პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება						

ორგანიზაციის კოდი	დასახელება	გეგმა წლის	გეგმა პერიოდის	ხარჯი პერიოდის	სხვაობა	შესრულება პერიოდის(%)	შესრულება წლის (%)
	ჯამური	2,093.3	943.3	487.1	456.2	51.6	23.3
02 10	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება						
	ჯამური	3,505.2	1,423.1	191.4	1,231.7	13.4	5.5
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა						
	ჯამური	3,124.6	1,768.8	1,495.4	273.4	84.5	47.9
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა						
	ჯამური	2,775.0	1,531.7	1,356.4	175.3	88.6	48.9
03 02	მწვანე ნარგავების გაშენება, მოვლა-პატრონობა						
	ჯამური	269.6	197.1	139.0	58.2	70.5	51.5
03 03	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები						
	ჯამური	80.0	40.0	0.0	40.0	0.0	0.0
04 00	განათლება						
	ჯამური	8,391.7	5,783.2	4,685.5	1,097.7	81.0	55.8
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა						
	ჯამური	6,524.7	4,124.2	3,739.8	384.4	90.7	57.3
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა						
	ჯამური	1,312.2	1,297.2	615.6	681.6	47.5	46.9
04 04	ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა						
	ჯამური	554.8	361.8	330.1	31.7	91.2	59.5
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი						
	ჯამური	6,475.0	3,487.5	2,488.2	999.3	71.3	38.4
05 01	სპორტის სფეროს განვითარება						
	ჯამური	4,824.6	2,415.2	1,546.4	868.8	64.0	32.1
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა						
	ჯამური	1,588.8	1,020.6	896.9	123.7	87.9	56.5
05 01 01 01	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა						



ორგანიზაციის კოდი	დასახელება	გეგმა წლის	გეგმა პერიოდის	ხარჯი პერიოდის	სხვაობა	შესრულება პერიოდის(%)	შესრულება წლის (%)
	ჯამური	303.5	162.3	148.7	13.6	91.6	49.0
05 01 01 02	კანონისა და ნიჭბოსნობის განვითარების ხელშეწყობა						
	ჯამური	276.0	178.5	115.5	63.0	64.7	41.8
05 01 01 03	ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა						
	ჯამური	500.3	291.0	271.5	19.6	93.3	54.3
05 01 01 04	სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა						
	ჯამური	259.0	141.6	128.3	13.3	90.6	49.5
05 01 01 05	საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა						
	ჯამური	250.0	247.1	232.9	14.2	94.2	93.1
05 01 02	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა						
	ჯამური	3,235.9	1,394.6	649.5	745.1	46.6	20.1
05 02	კულტურის სფეროს განვითარება						
	ჯამური	1,650.4	1,072.3	941.8	130.5	87.8	57.1
05 02 01	კულტურის დაწესებულებების ხელშეწყობა						
	ჯამური	1,237.5	906.3	805.9	100.4	88.9	65.1
05 02 01 01	კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა						
	ჯამური	1,195.5	884.3	783.9	100.4	88.6	65.6
05 02 01 04	მუზეუმების ხელშეწყობა						
	ჯამური	42.0	22.0	22.0	0.0	100.0	52.4
05 02 03	კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა						
	ჯამური	146.4	1.4	0.0	1.4	0.0	0.0
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა						
	ჯამური	20.0	10.0	0.0	10.0	0.0	0.0

ორგანიზაციის კოდი	დასახელება	გეგმა წლის	გეგმა პერიოდის	ხარჯი პერიოდის	სხვაობა	შესრულება პერიოდის(%)	შესრულება წლის (%)
05 02 05	კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა						
	ჯამური	246.5	154.7	135.9	18.8	87.9	55.1
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა						
	ჯამური	2,616.5	1,438.4	1,121.2	317.2	77.9	42.9
06 01	ჯანმრთელობის დაცვა						
	ჯამური	1,201.0	605.0	556.1	48.9	91.9	46.3
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება						
	ჯამური	301.0	155.0	150.9	4.1	97.3	50.1
06 01 02	მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება						
	ჯამური	900.0	450.0	405.2	44.8	90.1	45.0
06 02	სოციალური დაცვა						
	ჯამური	1,415.5	833.5	565.1	268.3	67.8	39.9
06 02 01	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა						
	ჯამური	1,092.7	641.3	387.8	253.5	60.5	35.5
06 02 02	ერთჯერადი სოციალური დახმარება						
	ჯამური	100.0	61.7	61.7	0.0	100.0	61.7
06 02 03	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება						
	ჯამური	4.0	2.0	2.0	0.0	100.0	50.0
06 02 04	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება						
	ჯამური	45.2	24.5	23.8	0.7	97.1	52.7
06 02 05	ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა						
	ჯამური	77.8	38.9	36.7	2.2	94.3	47.1

ორგანიზაციის კოდი	დასახელება	გეგმა წლის	გეგმა პერიოდის	ხარჯი პერიოდის	სხვაობა	შესრულება პერიოდის(%)	შესრულება წლის (%)
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება						
	ჯამური	95.8	65.1	53.2	11.9	81.7	55.5

**ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების და შპს „სოფწყალი“-ს 2023 წლის 6 თვის ბიუჯეტების შესრულების შესახებ**

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის 6 თვის გეგმა			2023 წლის 6 თვის ხარჯი		
			სულ	მ.შ.მუნ იციპალიტეტი	მ.შ.საკუთარი სახსრები	სულ	მ.შ.მუნ იციპალიტეტი	მ.შ.საკუთარი სახსრები
	ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"- დაფინანსება სულ, მათ შორის							
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2,775.0	1,532.1	1,531.7	0.5	1,356.8	1,356.4	0.4
03 02 01	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა - სუბსიდია	145.0	72.5	72.5		37.2	37.2	
02 03 01 02	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	360.0	180.0	180.0		121.9	121.9	
02 06 02	დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა	80.0	40.0	40.0		18.8	18.8	
	<b>სულ</b>	<b>3,360.0</b>	<b>1,824.6</b>	<b>1,824.2</b>	<b>0.5</b>	<b>1,534.7</b>	<b>1,534.3</b>	<b>0.4</b>
04 01	ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება							

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის 6 თვის გეგმა			2023 წლის 6 თვის ხარჯი		
			სულ	მ.შ.მუნ იცისა ლური ბიუჯეტი	მ.შ.საკუთარი სახსრები	სულ	მ.შ.მუნ იცისა ლური ბიუჯეტი	მ.შ.საკუთარი სახსრები
	სულ	6,524.7	4,131.9	4,124.2	7.8	3,746.4	3,739.8	6.6
05 01 01 01	ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა"							
	სულ	303.5	168.1	162.3	5.8	153.7	148.7	5.0
05 01 01 02	ა(ა)იპ „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის კანოესა და ნიჩბოსნობის აკადემია"							
	სულ	276.0	178.5	178.5	-	115.5	115.5	-
05 01 01 03	ა(ა)იპ "უმადლესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა"							
	სულ	500.3	291.0	291.0	-	271.5	271.5	-
05 01 01 04	ა(ა)იპ "სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა"							
	სულ	259.0	141.6	141.6	-	128.3	128.3	-
05 01 01 05	ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი" (აუზი)							
	სულ	250.0	554.5	247.1	307.4	497.5	232.9	264.7
05 02 01 01	ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი"							
	სულ	1,195.5	989.6	884.3	105.3	853.5	783.9	69.6

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის 6 თვის გეგმა			2023 წლის 6 თვის ხარჯი		
			სულ	მ.შ.მუნ იცისა ლური ბიუჯეტი	მ.შ.საკუთარი სახსრები	სულ	მ.შ.მუნ იცისა ლური ბიუჯეტი	მ.შ.საკუთარი სახსრები
05 02 05	ა(ა)იპ "მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი"							
	სულ	246.5	154.7	154.7	-	135.9	135.9	-
06 01 01	ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"							
	სულ	301.0	179.4	155.0	24.4	167.4	150.9	16.6
06 02 05	ა(ა)იპ "ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანება"							
	სულ	77.8	71.8	38.9	32.9	66.3	36.7	29.7
06 02 06	ა(ა)იპ "მცხეთის უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის"							
	სულ	95.8	65.1	65.1	-	53.2	53.2	-
02 02 01	შპს "მცხეთის სოფწყალი"-სულ	1,160.0	892.3	892.3	-	775.0	775.0	-
	სულ	14,550.1	9,643.2	9,159.1	484.1	8,498.9	8,106.4	392.5